

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №20
2020 წლის 10 ივნისი

ქ. ვანი

„ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის №18 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტებისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1

„ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 27 მაისის N18 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 28.05.2020 წელი, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.121.016403) შეტანილ იქნას შემდეგი სახის ცვლილებები:

1. დადგენილების პრეამბულა შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ.თ“ ქვეპუნქტის და მე-3 პუნქტის, 61-ე მუხლის მეორე პუნქტისა და „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:“

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართის („ვანის მუნიციპალიტეტში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს დებულება“) მე-9 მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

„4. საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველებია:

ა) პირადი განცხადება;

ბ) საბჭოს სხდომის არასაკმარის მიზეზით ზედიზედ 3-ჯერ გაცდენა;

გ) თუ მის მიმართ კანონიერ ძალაში შევიდა საბოლოო ინსტანციის სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი ან გავიდა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენის ზემდგომი ინსტანციის სასამართლოში გასაჩივრების ვადა;

დ) თუ სასამართლომ აღიარა მხარდაჭერის მიმღებად ან უგზო-უკვლოდ დაკარგულად ან გარდაცვლილად;

ე) გარდაცვალება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ვანის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ალექსანდრე ლილუაშვილი

